წლიური ანგარიში

2025

ხსნის არმია

ხსნის არმია საქართველო

თბილისი, რუსთავი, ლაგოდეხი, ბათუმი

www.salvationarmy.ge

01

ჩვენ შესახებ

„ხსნის არმია“ არის საერთაშორისო ქრისტიანული მოძრაობის ნაწილი, რომელსაც აერთიანებს რწმენა და მოწოდებულია მიიტანოს იმედი იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. 1993 წელს საქართველოში მსახურების დაწყების დღიდან, ხსნის არმია ერთგულად ემსახურება საზოგადოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. დღეს ჩვენი საქმიანობა მოიცავს ოთხ ქალაქსა და ცხრა ლოკაციას, რომელთა უმეტესობა ფუნქციონირებს როგორც „კორპუსი“ — საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს როგორც სულიერ ზრდას, ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას.

საქართველოში ჩვენი მისია გამოიხატება რელიგიური აქტივობების ფართო სპექტრით, მათ შორის ღვთისმსახურებით, მოწაფეობით, ზრუნვითა და სოციალური მსახურებით. ჩვენი საეკლესიო საქმიანობის პარალელურად, ჩვენ ვემსახურებით საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს: გაჭირვებულ ბავშვებს, იზოლაციისა თუ სიღარიბის წინაშე მყოფ ხანდაზმულებს და უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მაძიებელ ლტოლვილებს.

ჩვენი მემკვიდრეობა სათავეს იღებს ლონდონში მეცხრამეტე საუკუნიდან, სადაც ხსნის არმიის დამფუძნებლებმა ქრისტიანული რწმენა თანაგრძნობით სავსე მსახურებას შეუთავსეს. ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ ამ მემკვიდრეობას საქართველოში, ძალას ვიღებთ ღმერთისგან, ხოლო საზოგადოებას სიყვარულითა და პრაქტიკული დახმარებით ხელს ვუწვდით.

როგორც ეკლესიასა და საქველმოქმედო ორგანიზაციას, გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა, ხმა ავიმაღლოთ სამართლიანობის, თანაგრძნობისა და ადამიანის ღირსების დასაცავად. ჩვენ ვცდილობთ, თითოეული ადამიანი დავინახოთ როგორც ერთი მთლიანობა და გვერდში დავუდგეთ მათ, ვინც სირთულეების წინაშეა, შევთავაზოთ მათ იმედი, მზრუნველობა და გარემო, სადაც თავს მიკუთვნებულად და დაფასებულად იგრძნობენ.

02

ნატვრის ხე

2025 წელს „ხსნის არმიამ“ კიდევ ერთხელ წარმატებით ჩაატარა საშობაო პროგრამა „ნატვრის ხე“ და ამით სადღესასწაულო პერიოდში მხარდაჭერა გამოხატა მოწყვლადი ოჯახების მიმართ.

კარფურის (Carrefour), IWA-სა (ქალთა საერთაშორისო ასოციაცია) და QSI სკოლის გულუხვი პარტნიორობისა და საზოგადოების უამრავი წევრის კეთილი ნების წყალობით, ეს ინიციატივა წლის ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენად იქცა.
2025 წლის „ნატვრის ხის“ პროგრამის ფარგლებში 1 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ ბავშვს გადაეცა საშობაო საჩუქარი, რითაც უზრუნველვყავით მათთვის სიხარულითა და იმედით სავსე დღესასწაული.

ამ პროგრამის უწყვეტი წარმატება ასახავს ჩვენი პარტნიორების, მოხალისეებისა და მხარდამჭერების თანაგრძნობასა და ერთიანობას, რომლებიც წლიდან წლამდე შესაძლებელს ხდიან ამ ინიციატივის განხორციელებას.

03

უსახლკაროთა მხარდაჭერა
2025 წლის განახლებული მიდგომა

2025 წელს „ხსნის არმიამ“ განაგრძო უსახლკარო ადამიანების მხარდაჭერა და ყველაზე ცივ თვეებში, „უსახლკაროთა კვების პროგრამის“ მეშვეობით, მათ ყოველღამით სთავაზობდა საკვებს.

ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, შევცვალეთ ჩვენი მიდგომა. მასშტაბური გადაუდებელი ოპერაციების ნაცვლად, ჩვენი მხარდაჭერა ახლა უფრო მოქნილი და მათ კონკრეტულ საჭიროებაზეა მორგებული ჩვენი „კორპუსების“ / საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით.

ეს განახლებული მოდელი საშუალებას გვაძლევს უკეთ ვიზრუნოთ თითოეული ადამიანის კეთილდღეობაზე. ახლა ჩვენ მათ ვთავაზობთ ახლად მომზადებულ საკვებს, სუფთა და ახალ ტანსაცმლს, სამრეცხაოთი სარგებლობისა და უსაფრთხო, პატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოში შხაპის მიღების შესაძლებლობას.

2025 წელს ჩვენი მთავარი მიზანი იყო ღირსეული და ინდივიდუალური მზრუნველობის გამოჩენა. ის ვინც ჩვენთან მოვა, მიიღებს პრაქტიკულ დახმარებას, გამხნევებასა და მეტ სტაბილურობას.

04

ხსნის არმია საქართველოში დაჯილდოვდა

2025 წელს „ხსნის არმიამ საქართველოში“ მიიღო მნიშვნელოვანი ჯილდო: წმინდა პანტელეიმონის ორდენი, რომელიც გადმოგვეცა უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერის საქმეში ჩვენი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად. ორდენი, რომელიც უკრაინის მთავრობის სახელით გაიცემა, აღიარებს იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უკრაინელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე ბრძოლაში.

წმინდა პანტელეიმონის ორდენი ატარებს წმინდა პანტელეიმონის სახელს, რომელიც იყო მკურნალი და ექიმებისა და ბებიაქალების მფარველი წმინდანი.

05

ხსნის არმია საქართველოში დაჯილდოვდა (2)

2025 წელს „ხსნის არმიამ საქართველოში“ მიიღო მნიშვნელოვანი ჯილდო: წმინდა პანტელეიმონის ორდენი, რომელიც გადმოგვეცა უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერის საქმეში ჩვენი განსაკუთრებული ერთგულების აღსანიშნავად. ორდენი, რომელიც უკრაინის მთავრობის სახელით გაიცემა, აღიარებს იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უკრაინელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე ბრძოლაში.

„ხსნის არმია საქართველოში“ ათ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად მოხვდა ნომინანტთა მოკლე სიაში, რაც ჩვენი საქმიანობის ფართომასშტაბიანი გავლენის ნიშანია. ამ აღიარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ნომინაცია უშუალოდ საქართველოში მცხოვრები უკრაინელების ინიციაწივით მოხდა, რომლებმაც პირადად მიიღეს დახმარება ჩვენი გუნისგან. მათმა გულწრფელმა რეკომენდაციებმა განაპირობა ის, რომ „ხსნის არმია“ გახდა ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც ამ ჯილდოზე წარადგინეს. უკრაინის წარმომადგენლები საქართველოში რამდენჯერმე ეწვივნენ ჩვენს ცენტრებს მას შემდეგ, რაც მუდმივად ესმოდათ დადებითი გამოხმაურებები ჩვენ მიერ გაწეული მზრუნველობის, ადამიანის ღირსების პატივისცემისა და პრაქტიკული დახმარების შესახებ.

ჯილდოს მფლობელების ვინაობა ოფიციალურად 2025 წლის 28 ივლისს, კიევში, მეორე მსოფლიო ომში უკრაინის ისტორიის ეროვნულ მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე გამოცხადდა. მეორე ცერემონია მოგვიანებით თბილისში, უკრაინის საელჩოში გაიმართება, რათა პატივი მიეგოთ საქართველოდან შერჩეული გამარჯვებულებისთვის.
იძულებით გადაადგილებული ოჯახების გადაუდებელი დახმარებიდან დაწყებული, გრძელვადიანი მხარდაჭერით დამთავრებული, „ხსნის არმია საქართველოში“ აგრძელებს მსახურებას ურყევი თანაგრძნობით ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი. ეს ჯილდო წარმოადგენს ჩვენი მისიის პრაქტიკული გამოხატულების მძლავრ აღიარებას — მივიტანოთ იმედი, ღირსება და სიყვარული იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

06

ბავშვთა კლუბი და სკაუტები

საქართველოს მასშტაბით „ხსნის არმია“ ბავშვთა კლუბებისა და სკაუტების პროგრამებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი თაობის აღზრდაში. ყოველკვირეული შეხვედრების მეშვეობით, ბავშვები და ახალგაზრდები იზრდებიან უსაფრთხო, მხარდამჭერ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მათ ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ემოციურ, სოციალურ და სულიერ განვითარებას.

ჩვენი აქტივობები ეხმარება ბავშვებს თავდაჯერებულობის ამაღლებაში, ჯანსაღი მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებაში. ბავშვები სწავლობენ ფასეულობებს, რომლებიც ამზადებს მათ, გახდნენ საზოგადოების აქტიური და პასუხისმგებლიანი წევრები, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით. ბევრისთვის ეს კლუბები ასევე უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას, რაც მათ საზოგადოებაში პოზიტიურად ინტეგრაციაში ეხმარება.

„ხსნის არმიის“ სკაუტები აერთიანებს 10-დან 19 წლამდე ენერგიულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს და აძლევს მათ ლიდერობის, გუნდური მუშაობისა და პრაქტიკული ცხოვრებისეული უნარების განვითარების შესაძლებლობას. მოძრაობა მიზნად ისახავს თითოეულ ახალგაზრდაში არსებული პოტენციალის გამოვლენას და მათ შთაგონებას, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობაში.

ერთობლივად, ჩვენი ბავშვთა კლუბები და სკაუტების პროგრამები ქმნის სივრცეს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიზარდონ, შეიმეცნონ სამყარო და მიაღწიონ წარმატებას — და სადაც მათ ეხმარებიან, ადრეული ასაკიდანვე აღმოაჩინონ რწმენა და ცხოვრებისეული მიზანი.

07

ქალთა მსახურება

2025 წელს „ხსნის არმიის“ ქალთა მსახურებამ შექმნა კეთილგანწყობილი სივრცეები, სადაც ქალებსა და გოგონებს შესაძლებლობა ჰქონდათ სულიერი ზრდის. მათ შეძლეს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბა და გახდნენ მხარდამჭერი საზოგადოების ნაწილი. ყოველკვირეული შეხვედრები მოიცავდა ბიბლიის შესწავლას, ლოცვას, შემოქმედებით აქტივობებსა და პრაქტიკულ ვორქშოფებს, რაც ქმნიდა გამხნევებისა და მიკუთვნებულობის განცდას.

ახალგაზრდა ქალებისა და თინეიჯერი გოგონებისთვის განკუთვნილი პროგრამები სთავაზობდა მათ ასაკის შესაბამის პროექტებს და მხარდაჭერას, რაც ეხმარებოდა მათ რწმენისა და თავდაჯერებულობის განმტკიცებაში. მთელი წლის განმავლობაში, სპეციალური ღონისძიებები და დღესასწაულები აერთიანებდა ქალებს, ხელს უწყობდა ურთიერთობის გაღრმავებას და კორპუსის ცხოვრებაში უფრო აქტიურ ჩართულობას.

ქალთა მსახურება კვლავაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი ქვეყნის მასშტაბით სულიერი ზრდისა და საზოგადოების ცხოვრების განვითარებაში.

ქალთა და გოგონათა მსახურება – ძირითადი აქტივობები (შეჯამება)

- ყოველკვირეული რეგულარული აქტივობები
- სპეციალური ღონისძიებები და დღესასწაულები
- სულიერი ზრდა და სწავლება
- მხარდამჭერი საზოგადოების მშენებლობა
- სოციალური მსახურება და ჩართულობა

08

აქტივობები ხანდაზმულთათვის

2025 წელს „ხსნის არმიამ“ მოამზადა მთელი რიგი აქტივობები და ღონისძიებები ხანდაზმულთათვის, რომლებიც მიმართული იყო ურთიერთობების, სიხარულისა და კეთილდღეობის ხელშესაწყობად. ფიქსირებული ხანდაზმულთა ცენტრების ფუნქციონირების ნაცვლად, თითოეულმა კორპუსმა მთელი წლის განმავლობაში საკუთარი პროგრამა განახორციელა და საზოგადოების ხანდაზმულ წევრებს ურთიერთობის მნიშვნელოვანი წუთები აჩუქა.

სხვადასხვა ლოკაციაზე ხანდაზმულები ხვდებოდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს მარტივი, თუმცა გამამხნევებელი აქტივობებით, როგორებიცაა მეხსიერების თამაშები, სიმღერა, სეზონური დღესასწაულები, ჯანმრთელობის შემოწმება და სხვა სოციალური აქტივობები, რომლებიც მარტოობის შემცირებასა და სოციალური კავშირების გაძლიერებას უწყობდა ხელს. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი იყო უფასო სამრეცხაო, რაც მათთვის კომფორტისა და პრაქტიკული მზრუნველობის გამოჩენას წარმოადგენდა.

ამ მრავალფეროვანი და მოქნილი აქტივობების მეშვეობით, „ხსნის არმია“ კვლავაც აგრძელებდა ხანდაზმული ადამიანებისთვის ღირსების, მხარდაჭერისა და თანადგომის გაწევას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

09

ზამთრისა და ზაფხულის ბანაკები

2025 წელს ჩვენმა ზამთრისა და ზაფხულის ბანაკებმა განაგრძეს მოწყვლადი ოჯახებიდან მოსული ბავშვებისა და მოზარდებისთვის მხარდამჭერი, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, სადაც 6-დან 19 წლამდე ასაკის მონაწილეებს ვუმასპინძლეთ. ეს ბანაკები ახალგაზრდებს სთავაზობს მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც უყალიბებს მათ თავდაჯერებულობას, გამძლეობასა და საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდას. პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან გარე აქტივობებს — როგორიცაა ლაშქრობა, გუნდური თამაშები და სპორტული შეჯიბრებები — რაც ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას, ფიზიკურ სიჯანსაღესა და ბუნების უკეთ დაფასებას.

წლევანდელი პროგრამა ასევე მოიცავდა სპეციალურად უკრაინელი ბავშვებისთვის განკუთვნილ ზამთრის ბანაკს, რომელიც მათ სთავაზობდა უსაფრთხო და მხარდამჭერ სივრცეს, რათა შეეგრძნოთ სიმშვიდის, სიხარულისა და მეგობრობის წუთები. ბანაკმა ამ ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, დროებით დაევიწყებინათ მათ სამშობლოში მიმდინარე კონფლიქტით გამოწვეული წუხილი და ემოციური დაძაბულობა და საშუალება მისცა მათ მცირე ხნით მაინც, კვლავ უბრალოდ ბავშვებად ეგრძნოთ თავი.

10

უკრაინელი ლტოლვილების დახმარება

„ხსნის არმია“ აგრძელებს იმ უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერას, რომლებმაც საქართველოში იპოვეს თავშესაფარი. მთელი 2025 წლის განმავლობაში ჩვენ ორიენტირებულნი ვიყავით იძულებით გადაადგილების გამოწვევების წინაშე მდგარი ოჯახებისთვის პრაქტიკული დახმარების, ღირსების შენარჩუნებისა და სტაბილურობის შეთავაზებაზე.

ჩვენი მხარდაჭერა მოიცავდა:

- ჰიგიენურ კალათები აუცილებელი ნივთებით;
- კვირაში 5 დღე კვება ბათუმის სასადილოში;
- პირველადი საჭიროების ნივთებისა და საკვების ვაუჩერები, რათა დაკმაყოფილდეს საბაზისო მოთხოვნილებები და შენარჩუნებული იყოს ადამიანების ღირსება;
- სკოლისშემდგომი ზრუნვა (გახანგრძლივებული ჯგუფები), რათა უკრაინელ ბავშვებს ქართულ საგანმანათლებლო სისტემასთან ადაპტაციაში დავეხმაროთ;
- უწყვეტი ემოციური და პრაქტიკული მხარდაჭერა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც საქართველოში ახალ ცხოვრებას იწყებენ.

ჩვენი საქმიანობის შედეგები რიცხვებში (2025 წელი):

- დარიგებული ჰიგიენური კალათები: 11 195
- გაცემული ტანსაცმლის ვაუჩერები: 1 000 ვაუჩერი
- სურსათის ვაუჩერები: 6 200 ვაუჩერი
- სკოლისშემდგომ პროგრამაში ჩართული ბავშვების რაოდენობა: 6 300
- საკვები ულუფების რაოდენობა: 27 458

ჩვენ ასევე მოვაწყვეთ ორი ბანაკი უკრაინელი ბავშვებისთვის — ბაკურიანის ზამთრის ბანაკი და ურეკის საზაფხულო ბანაკი დედებისთვის მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად. ზამთრის ბანაკმა 120 იძულებით გადაადგილებულ უკრაინელ ბავშვს უმასპინძლა, ხოლო საზაფხულო ბანაკმა — 88 ადამიანს.

„ხსნის არმია“ კვლავ მზადაა იზრუნოს ომით დაზარალებულ ადამიანებზე, დაიცვას მათი ღირსება და შესთავაზოს ნამდვილი იმედი — რათა საქართველოში მყოფმა უკრაინულმა ოჯახებმა იცოდნენ, რომ ისინი მარტო არ არიან.

ხსნის არმია საქართველო

„საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია ხსნის არმიის წარმომადგენლობა საქართველოში“ რეგისტრირებულია, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (საიდენტიფიკაციო კოდი: 204892090) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2003 წლის 27 მაისს.

„ხსნის არმია საქართველო“ რეგისტრირებულია, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საიდენტიფიკაციო კოდი: 405291893) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 21 სექტემბერს.

დაგვიკავშირდით

ხსნის არმია საქართველო

www.salvationarmy.ge

თბილისი, იყალთოს ქუჩა 16, 0171

info@salvationarmy.ge

(032) 2 333 786